2017 წლის 1 იანვრიდან დღემდე ქვეყნის გარეთ სამსახურებრივ მივლინებები:

1. მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **დავით ლობჟანიძე** თურქეთის ქალაქ სტამბულში, გერმანული საგამოფენო კონგრეს ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო გამოფენაზე „WIN – World of Industry 2017 – Metalworking, Surface Treatment, Welding Eurasia“, 2017 წლის 9 თებერვლიდან 2017 წლის 11 თებერვლის ჩათვლით.-------ვიზიტის მიზანი იყო სტამბულში მიმდინარე გამოფენაზე დასწრება, სადაც გამოფენილი იყო სხვადასხვა ტექნიკური ნაწარმი, მათ შორის მანქანა-დანადგარები. რეგიონიდან გამოფენას ესწრებოდნენ ადგილობრივი ბიზნესმენებიც. სტამბულის შემდეგ ვიზიტი გაგრძელდა თურქეტის ქალაქ ბურსაში, სადაც მერის მოადგილესთან ერთად, უკვე ქალაქის მერი დავით ჯიქიაც იმყოფებოდა. ვინაიდან რუსთავის მერია მუნიციპალური ტრანსპორტის განახლებას გეგმავს, ვიზიტის მიზანი თურქეთის ქალაქ ბურსაში არსებული ავტობუსების ამწყობი საწარმოების დათვალიერება, იქ დამზადებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მონაცემების შესწავლა და სავარაუდო ფასების გაგება იყო. დაახლოებით სამი კვირის წინ, რუსთავში უკვე მოეწყო ამ ვიზიტის შედეგად შერჩეული ერთ-ერთი სახეობის ავტობუსუს ტესტირება. ვიზიტის შედეგად განისაზღვრა, თუ როგორი სახის ტრანსპორტის შეძენა უნდა მოხდეს კონკრეტულად ქალაქ რუსთავისთვის.

2. მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - **დავით ჯიქია** თურქეთის ქალაქ ბურსაში ოფიციალური თანამშრომლობის ოქმებთან დაკავშირებით შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად 2017 წლის 7 თებერვლიდან 2017 წლის 11 თებერვლის ჩათვლით.

მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - **დავით ჯიქია** საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოს კონგრესის 32-ე სესიაზე მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოს დელეგაციის ძირითადი წევრი კონგრესში.მივლინების ხანგრძლივობა განისაზღვროს 2017 წლის 26 მარტიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.-----ქალაქის მერის დავით ჯიქიას აღნიშნული ვიზიტი ფინანსდება ევროსაბჭოდან რადგან ბატონი დავითი არის საქართველოს დელეგაციის ძირითადი წევრი და ნალას (NalA) პრეზიდენტი.

<u>ევროპის საბჭოს კონგრესის 32-ე პლენარული სესიის ანგარიში</u>

<u>28-30 მარტი, 2017 სტრასბურგი</u>

საქართველოს დელეგაცია წარდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით

1. დავით ნარმანია, დელეგაციის ხელმძღვანელი
2. დავით ჯიქია, ძირითადი წევრი
3. ფიქრია ავალიანი, ძირითადი წევრი
4. გიორგი ტყემალაძე, ძირითადი წევრი
5. სევდია უგრეხელიძე, ძირითადი წევრი
6. ლელა ქიტესაშვილი - შემცვლელი წევრი
7. ტატიანა ბოკუჩავა, დელეგაციის მდივანი

მოწვეული სტუმრები:

მალხაზ მჭედლიშვილი - თბილისის საკრებულო

გოჩა დგებუაძე - სენაკის გამგებელი

მერაბ თოფჩიშვილი - მარნეულის გამგებელი

მერაბ სულაბერიძე - რუსთავის საკრებულო

27 მარტი-სესიის წინა დღე

გაიმართა კონგრესის ბიუროს, პოლიტიკური ჯგუფებისა და დელეგაციის მდივნების შეხვედრა.

28 მარტი - სესიის I დღე

კონგრესის 32ე პლენარული სესიის გახსნა პრეზიდენტის მიერ - გუდრუნ მოზლერ ტორნსტრომი

ახალი წევრების დამტკიცება -

მომხენებლები: მიქაილ ანგელოპულოსი, საბერძნეთი (L,EPP/CD) და უნის კემპბელ-კლარკი, გაერთიანებული სამეფოები, (R, SOC)

დებატები და კენჭისყრა

სესიის დღის წესრიგის მიღება

წინა, 31-ე სესიის ოქმის მიღება (21 ოქტომბერი 2016)

კონგრესის კომიტეტების შემადგენლობის დამტკიცება

კონგრესის პრეზიდენტობა 2014-2016: აქტივობები და მიღწევები

დებატები

კონგრესის მომდევნო ორი წლის ბუჯეტისა და რესურსების განხილვა (2018-2019)

ჰავიერ კადორე, საფრანგეთი (SOC) და სვეტლანა ორლოვა, რუსეთი (EPP)

დებატები და კენჭსყრა

ევროსაბჭოს გენმდივნის ტორბონ იაგლანდის მოხსენება

საპატიო ჯილდოს გადაცემის ცერემონია

ჯილდო გადაეცა ფარიდ მუხამეცინს, რუსეთის ფედერაცია

სახელმწიფო რეფორმები და დეცენტრალიზაცია პორტუგალიაში

მომხსენებელი: ედუარდო კარბიტა პრემიერმინისტრის კაბინეტის მინისტრი

დებატები

მიღებიდან ინტეგრაციამდე: ადგილობირივი და რეგიონული ხელისუფლების როლი მიგრაციის პირისპირ

მომხსენებელი გიორგი ილი, უნგრეთი (IDLG) და იუმი რენსტრომი, შვედეთი

ტომას ბოჩეკის, ლტოლვილთა და მიგრანტთა გენმდივნის სპეციალური წარმომადგენელი, მოხსენება

დებატები და კენჭისყრა

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესრულება: მიღწევები და გამოწვევები

კონგრესის მონიტორინგისა და არჩევნებზე დაკვირვების საფუძველზე (2010-2016) შედეგების განმეორებადი შეფასებები

მომხსენებელი: სტიუარტ დიკსონი, გაერთიანებული სამეფოები (ILDG) და ლეენდერტ ვერბეეკი, ნიდერლანდები (SOC)

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის შესრულების შედარებითი ანალიზი (47 წევრ ქვეყანაში)

მომხსენებელი: ხავიერ კადორე, საფრანგეთი და კარიმ ვან ოვერმეირი, ბელგია

დებატები და კენჭისყრა

სამხრეთ-ხმელთაშუა პარტნიორობა

მომხსენებელი: მოჰამედ ბუდრა, მოროკოს მუნიციპალურ საბჭოთა ასოციაციის (AMPCC) პრეზიდენტი, მოროკოს სამეფო

მოჰამედ ნაკურ ჯბირა, ტუნისის სამხედრო ძალების ადმინისტრაციის ორგანიზაციული კომისიის პრეზიდენტი, ტუნისის რესპუბლიკა

ევროპული ადგილობრივი კვირეულის 10 წლისთავი

გაია დოგანოგლუს, ანა მაკკოისა და მარცინ კრუპას მოხსენებები

ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია ფინეთში

მომხსენებლები: არტურ ტორეს პერეირა, პორტუგალია (EPP) და კარიმ ვან ოვერმეირი, ბელგია

ფინეთის ადგილობრივი რეფორმების სახელმწიფო მინისტრის ჯარი პარტანენის განცხადება

29 მარტი - სესიის II დღე

ადგილობრივ პალატაზე განხილული საკითხები

პრეზიდენტის მიერ შეხვედრის გახსნა

ანდრეს კნაპე

პალატის დღის წესრიგის მიღება

პალატის პრეზიდენტის მოხსენება

ადგილობრივი დემოკრატია მალტაში

თანამომხსენებლების პრეზენტაცია: რისტო რაუტავა, ფინეთი (EPP) და სტუარტ დიკსონი, გაერთიანებული სამეფოები (ILDG)

დებატები და კენჭისყრა

სტეფან ბუნტემპოს, ადგილობრივი თვითმმართველობის საპარლამენტო მდივანი, მალტა

კითხვებზე პასუხი

თანმხლები პირების გარეშე მყოფი ბავშვ-მიგრანტების მიღება ევროპულ ქალაქებში

მომხსენებლები:

ლორა პაპა, METAdrasi-ის პრეზიდენტი, მიგრაციისა და განვიტარების ქმედებები, საბერძნეთი

ოლე ოლსონი, ინტეგრაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის მრჩეველი, შვედეთის ადგილობრივ და რეგიონულ ხლისუფლებათა ასოციაცია, შვედეთი

დებატები

ადგილობრივი დემოკრატია ესტონეთში

თანამომხსენებლების პრეზენტაცია: ჰენრიკ ჰამარი, შვედეთი (EPP) და ლენდერტ ვერბეეკი, ნიდერლანდები (SOC)

დებატები და კენჭისყრა

მიხაილ კორბის, საჯარო ადმინისტრირების მინისტრის, მოხსენება, ესტონეთი

კითხვევზე პასუხი

ადგილობრივი დემოკრატია ისლანდიაში

თანამომხსენებლები: ზდენეკ ბროზი, ჩეხეთის რესპუბლიკა (ECR) და ჯაკობ ვიენენი, ნიდერლანდები (EPP)

დებატები და კენჭისყრა

ჯონ გუნარსონის, ადგილობრივი მმართველობისა და ტრანსპორტის მინისტრის, მოხსენება, ისლანდია

კითვები და პასუხები

რეგიონულ პალატაზე განხილული საკითხები

პრეზიდენტის მიერ შეხვედრის გახსნა

გუნ მარტინ ჰელგესენი

პალატის დღის წესრიგის მიღება

პალატის პრეზიდენტის მოხსენება

დემოკრატიული მონაწილეობის ხარისხი რეგიონულ დონეზე

პირდაპირი დემოკრატიული დებულებები რეგიონულ სესებსა და კანონმდებლობებში

ელექტრონული დემოკრატიის საშუალებები: ახალი თაობის უმპულსები

მომსხენებლები:რეტო სტეინერი, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამოუკიდებელი ექსპერტი

ანდრე ანტუანი, ”ინტერაქტიული დემოკრატიის” სამუშაო ჯგუფისთავმჯდომარე, ვალუნის რეგიონული პარლამენტის პრეზიდენტი, ბელგია

ახალგაზრდა მონაწილეთა ჩართულობა

დებატები

სასაზღვრო რეგიონები მიგრაციის დინების პირისპირ

მომხსენებლები: კარლ ჰეის ლამბერტი, ევროპული სასაზღვრო რეგიონების ასოციაციის პრეზიდენტი, ბელგია

კაროლინდა დარიას სან სებასტიანი, მიგრაციის სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე, კანარის კუნძულების რეგიონული პარლამენტის პრეზიდენტი, ესპანეთი

დებორა სერაკიანი, საკანონმდებლო ხელისუფლების მქონე ევროპული რეგიონების კონფერენცია (REGLRG) ფრიული-ვენეცია-გიულიას რეგიონის გუბერნატორი, იტალია

ილიას ელ ომარი, მოროკო

ანგარიში მოლდოვეთის რესპუბლიკის ავტონომიური რეგიონის გაგაუზიას არჩევნების შესახებ

მომხსენებელი: სევდია უგრეხელიძე, საქართველო (EPP) - ქალბატონი სედია გახლდათ მოლდოვეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაგაუზიას არჩევნების სადამკვირვებლო მისიის წევრი (არჩევნები გაიმართა 2016 წლის 20 ნოემბერს) და ამ მისიის შემდგომ მომზადებული ანგარიშის მომხსენებელი.

შემდეგი სესიის თარიღი

სხდომის დახურვა პრეზიდენტის მიერ

გაიმართა ფილმი "UOMO"-ს ჩვენება, რომელიც ეხებოდა ევროპაში ბოლო პერიოდში მიგრანტების შედინებას, მათ ყოფა-ცხოვრებას

29 მარტი - პლენარული სესია

2017 წლის 28 მარტის შეხვედრების ოქმების დამტკიცება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში კვიპროსის თავმჯდომარეობა (22 ნოემბერი 2017-19 მაისი 2017)

იონის კასულიდეს, კვიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრი, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე

კითხვა/პასუხი

"სამუდამოდ ახალგაზრდა"? ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული სამუშაოების როლი ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის

მომხსენებელი: უნის კამპბელ-კლარკი, გაერთიანებული სამეფოები (SOC)

ლისა ანსალა, ფინეთი (ILDG), კოგრესის მომხსენებელი ახალგაზრდების თემატიკაზე

დებატები და კენჭისყრა

ადამიანის უფლებების განვითარება ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე

მომხსენებლები ჰარალდ ბერგმანი, ნიდერლანდები (ILDG) კონგრესის მომხსენებელი ადამიანის უფლებების ადგილობრივ დონეზე თემატიკაზე

ნილს მუჟნიეკის, ადამიანის უფლებათა კომისრის, მოხსენება

დებატები

საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის შესაბამისობების ჩამონათვალი, რათა არ მოხდეს ადგილობრივი და რეგიონული არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

მომხსენებელი: სტუარტ დიკსონი, გაერთიანებული სამეფოები (ILDG)

რიჩარდ ბარეტის, ვენეციის კომისიის წევრის, მოხსენება, ირლანდია

დებატები

არჩეულ პირთა სიტუაცია თურქეთში - ფაქტების მაძიებელი მისია

მომხსენებელი ანდრეს კნაპე, შვედეთი (EPP) და ლეენდერტ ვერბეერკი, ნიდერლანდები (SOC)

დებატები და კენჭისყრა

შეხვედრის დასასრული

30 მარტი - პლენარული სესიის III დღე

პალატების სხდომების ოქმის მიღება

კონგრესისა და პალატების სხდომების ოქმების დამტკიცება

გამჭვირვალე მონაცემები=გაუმჯობესებულ საჯარო მოსახურებას

მომხსენებელი:

მანუელა ბორა, იტალია (SOC)

დებატები და კენჭისყრა

არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ბოსნიაში (2 ოქტომბერი 2016)

მომხსენებელი:

სტუარტ დიკსონი, გაერთიანებული სამეფოები (ILDG)

ადამ ბანასზაკი, რეგიონთა კომიტეტის მომხსენებელი, პოლონეთი (ECR)

კონგრესის პროცედურეისა და წესების მიმოხილვა

მომხსენებელი: ხავიერ კადორე, საფრანგეთი (SOC) და მარკ კულსი, ბელგია (ILDG)

32-ე სესიის დასასრული

პლენარული სესიის ფარგლებში გაიმართა კომიტეტების შეხვედრაც

3.

4. მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **დავით ლობჟანიძე** უკრაინის ქალაქ ივანო-ფრანკოვსკში, ქალაქის 355-ე იუბილის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასასწრებად 2017 წლის 5 მაისიდან 2017 წლის 8 მაისის ჩათვლით.-----ვიზიტის მიზანი ძირითადად გაცნობითი ხასიათის იყო. მოეწყო ქალაქ რუსთავის სამრეწველო და ტუსრისტული პოტენციალის პრეზენტაცია. ღონისძიებას 25 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონკრეტული ბიზნეს და საინვესტიციო შემოთავაზებები გაკეთდა ქალაქ ბრესტის წარმომადგენლების მხრიდან.

5. **მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი - ეკა პაპუაშვილი პოლონეთის ქალაქ პლოცკში 2017 წლის 11-15 მაისს მე-19 ევროპული პიკნიკის კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრებად.--- აღნიშნული ვიზიტიც გაცნობითი ხასიათის იყო რუსთავის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა შეხვედრაზე ქალაქის ძველი ნაწილის არქიტექტურის, კონკრეტულად კოსტავას გამზირის პრეზენტაცია წარმოადგინა.**

6. **მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე - ზურაბი ტაბაღუა უკრაინის ქალაქ ჩერკასში, უკრაინის სახელმწიფო მაუწყებლობის კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ფესტივალ „კობზარ უკრაინა“-ზე დასასწრებად 2017 წლის 18 მაისიდან 2017 წლის 22 მაისის ჩათვლით.-----ვინაიდან ქალაქი ჩერკასი რუსთავის დამეგობრებული ქალაქის,აღნიშნული ვიზიტი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას ისახავდა მიზნად.** ვიზიტი შედგა ქალაქ ჩერკასის მერის პირადი მოწვევით. ვინაიდან ფესტივალი მოიცავდა ტელე-რადიოპროგრამების პრეზენტაციასაც, აღნიშნულ მივლინებაში, სტუმრების სტატუსით მიწვეულნი იყვნენ რუსთავის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის სამსახურის უფროსისი მოადგილე ნინო ყარალაშვილიც.

7. მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილე - **ნინო**

ყარალაშვილი უკრაინის ქალაქ ჩერკასში, უკრაინის სახელმწიფო მაუწყებლობის კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ფესტივალ ,,კობზარ უკრაინა“-ზე დასასწრებად 2017 წლის 18 მაისიდან 2017 წლის 22 მაისის ჩათვლით.

8. მივლინებულ იქნა - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **დავით ლობჟანიძე** უკრაინის ქალაქ ვინიცაში, ყოველწლიური ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად 2017 წლის 18 მაისიდან 2017 წლის 22 მაისის ჩათვლით.-----ქალაქ ვინიცაში მიმდინარეობდა ,,ევროპის დღეები“. მიწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ქალაქების თვითმმართველობების ხელმძღვანელი პირები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ვიზიტის მიზანი თვითმმართველობების გამოცდილების გაზიარება და ახალი მოთხოვნების განხილვა იყო მუნიციპალიტეტების უკეთ განვითარების და თვითმმართველობის ეფექტურად დანერგვის მიზნით. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა უკრაინის პრემიერ-მინისტრთან ვლადიმერ გროისმანთანაც, რომელიც ადრე ქალაქ ვინიცას მერი იყო და არაერთხელ არის ნამყოფი რუსთავში, როგორც დამეგობრებული ქალაქის მერი.